საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია აცხადებს ტენდერს მომსახურების:

დაგეგმილი ჰიდროელექტრო სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მერქნული რესურსის აღრიცხვის დოკუმენტაციის მომზადებაზე

#01/10-GIEC-S/RES-18

მომსახურების აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. გომში დაგეგმილი ბჟუჟა 2 ჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე მერქნული რესურსის აღრიცხვა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმებისა და სტანდარტების მიხედვით.

დართულ ფაილებში, გთხოვთ, იხილოთ:

1. ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის ბუფერი;
2. ტექნიკური დავალება.

საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია იწვევს დაინტერესებულ ანალოგიური გამოცდილების მქონე პირებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომერციული წინადადება წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
- ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ შესრულებული ანალოგიური/მსგავსი სამუშაოების შესახებ (სამუშაოს დასახელების, კონტრაგენტი ორგანიზაციის, პერიოდის მითითებით);
- ინფორმაცია სამუშაოების შესრულების ვადების შესახებ (გაწერილი გეგმა-გრაფიკი):
- ინფორმაცია გადახდის პირობების შესახებ.
    - ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში მომწოდებელი იტოვებს უფლებას მოითხოვოს საბანკო გარანტია მოთხოვნილი თანხის ოდენობაზე.
- პრეტენდენტი კომპანიის იურიდიული და საბანკო რეკვიზიტები.

გამარჯვებულის გამოვლენის შემდგომ დამკვეთი იტოვებს უფლებას პრეტენდენტს მოთხოვოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან პირის მიმართ საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

**წინადადების წარდგენის წესი:**

- დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ბეჭდური სახით და მოთავსებული უნდა იყოს დალუქულ კონვერტში. კონვერტს დალუქვის ადგილას დასმული უნდა ჰქონდეს ორგანიზაციის ბეჭედი ან/და ხელმოწერა. კონვერტს გარედან **აუცილებლად** უნდა ეწეროს პრეტენდენტისა და ტენდერის დასახელება/ნომერი;
- წინადადების ჩაბარება ხდება მისამართზე: ქ.თბილისი, გაზაფხულის ქუჩა N18.
    - საკონტაქტო პირი სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით: **ვასილ მაისურაძე.** ელ.ფოსტა: v_maisuradze@gig.ge; საკონტაქტო ნომერი: 551 11 22 22.
    - საკონტაქტო პირი ტექნიკური საკითხებთან დაკავშირებით: **გიორგი მარგებაძე**; საკონტაქტო ნომერი: 577 37 01 03.

**წინადადების წარდგენის ბოლო ვადა:** <u>2018 წლის 8 ოქტომბერი, 18:00 საათი.</u>